ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო -

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ოქმი N 7

ქალაქი ბათუმი

06 დეკემბერი, 2018 წელი (17 : 30 სთ)

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზი

სხდომას ესწრებოდნენ :

1. გურამ ფუტკარაძე - აჭარის ა/რ მხატვართა კავშირის თავმჯდომარე; საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი;
2. თამაზ თურმანიძე - შპს ,,რუსული რეგისტრი ვესტჯორჯია''-ს დირექტორი; აჭარის ლოჯისტიკის, ტრანსპორტისა და გადამზიდავთა ასოციაციის თავმჯდომარე;
3. მაყვალა კვირიკაძე - შპს ,,მაკო''-ს დამფუძნებელი; აჭარის ქალ ბიზნესმენთა ასოციაციის თავმჯდომარე;
4. კახაბერ გუჩმანიძე - CENN - პროექტის - ნარჩენების მართვის ტექნოლოგია რეგიონებში (USAID / WMTR II) - რეგიონული კოორდინატორი აჭარაში;
5. ზურაბ ჩიხლაძე - ბათუმის შოთა რუსთაველი უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ქირურგიული დეპარტამენტის პროფესორი, მედიცინის დოქტორი;
6. მარიამ ბურკენაძე - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი ; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი;
7. ლაშა ნაკაშიძე - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში - UNDP – GEF - პროექტის ,,მწვანე ქალაქები მდგრადი ინტეგრირებული ტრანსპორტი ქალაქ ბათუმისა და აჭარის რეგიონისათვის'' ხელმძღვანელი;

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებს სხდომის დღის წესრიგი წინასწარ დაეგზავნათ ელ.ფოსტაზე, ასევე ინფორმაცია განთავსდა ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ - გვერდზე.

რეგისტრაციის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 11 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 7, არ ესწრებოდა 4 .

სხდომაზე მოწვეული იყვნენ და ესწრებოდნენ :

- დავით დუმბაძე - ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის - შპს ,,სანდასუფთავებ''-ის დირექტორი, ნარგიზ ფალავანდიშვილი და ონისე ცნობილაძე - შპს ,,სანდასუფთავებ'-ის

დირექტორის მოადგილეები, ამავე სამსახურის თანამშრომლები - გოჩა ვარშალომიძე, პაატა ბერიძე, ნინო გიგინეიშვილი, შოთა თოდაძე.

დავით დიასამიძე - ა(ა)იპ ,,ქ.ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური''-ს დირექტორი, ემზარ ნაგერვაძე ამავე სამსახურის - სწავლული აგრონომი, სამსახურის თანამშრომლები - ვაჟა დავითაძე, თენგიზ მანელიშვილი, კახი სალუქვაძე, დავით ქიქავა, დავით მახარაძე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ :

საზოგადოებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები : - მარიამ ჯიბუტი - საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია (AYEG), თამარ მამეიშვილი - EECMD, გულნაზ სურმანიძე - ასოციაცია ,,შავი ზღვის ეკოაკადემია'', ნანა საყვარელიძე - ა(ა)იპ სამედიცინო ასოციაცია ,,თანა'', მარკელა ჩხაიძე - ქალთა და ბავშთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია ,,მეჯლისი'', ბადრი პაქსაძე - მშვიდობის ქარტია, გივი მამულაძე - უფლებადამცველი, ლაშა მიქელაძე - ბსუ.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების მე-4 მუხლის მე 10 პუნქტის თანახმად საბჭოს სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია რადგან მასში სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი წევრი მონაწილეობდა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა გახსნა და უძღვებოდა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე - კახაბერ გუჩმანიძე.

დღის წესრიგი გათვალისწინებული იყო შემდეგი საკითხები: -

დღის წესრიგი - # 7 (06 დეკემბერი - 2018 წ / 17 : 30 სთ)

საკითხი 1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

საკითხი 2. ქ. ბათუმის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის მიმდინა - რეობის განხილვა, სატარიფო და საჯარიმო პოლიტიკა.

(ფორმატი - ქ.ბათუმის მერიის შპს ,, სანდასუფთავები ''- ს წარმომადგენლების მოსმენა / კითხვა - პასუხი)

საკითხი 3. ქ. ბათუმის ლანდშაფტური დაგეგმარების კუთხით არსებული მდგომარეობისა და მიმდინარე აგრო - ტექნიკური სამუშაოების განხილვა, სამომავლო გეგმები და გამოწვე - ვები.

(ფორმატი - ქ.ბათუმის მერიის ა(ა)იპ ,, ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმა- რების სამსახური '' - ს წარმომადგენლების მოსმენა / კითხვა - პასუხი)

ჩატარდა ღია კენჭისყრა : საბჭოს დამსწრე წევრთა სრულმა შემადგენლობამ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ დღის წესრიგს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს რათა განეხილათ დღის წესრიგით გათ - ვალისწინებული საკითხები.

საკითხი 1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ - კახაბერ გუჩმანიძემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებს დაგზავნილი ჰქონდათ მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის მიერ მოწოდებული ქ.ბათუმის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის ელ.ვერსია, ასევე საბჭოს წევრები ინფორმირებული იყვნენ საბჭოს თავმჯდომარის მიერ ქ.ბათუმის მერიაში პრიორიტეტების მიხედვით ჩანიშნულ განხილვებში მონაწილეობის მიღების თაობაზე.

კახაბერ გუჩმანიძემ სხდომაზე განაცხადა, რომ მიუხედავად არაერთგზის თხოვნისა - საბჭოს წევრების მხრიდან ბიუჯეტის პროექტის თაობაზე არ ყოფილა მოწოდებული - რეკომენდაცია / წინადადება / მოსაზრება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საბჭომ გადაწყვიტა - წერილობით აცნობონ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს, რომ წარმოდგენილ 2019 წ. ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით მოცემულ ეტაპზე საბჭოს დამსწრე წევრებს არ აქვთ კონკრეტული - შენიშვნა, რეკომენდაცია ან წინადადება.

ჩატარდა ღია კენჭისყრა : საბჭოს დამსწრე წევრთა სრულმა შემადგენლობამ მხარი დაუჭირა დაყენებულ საკითხს.

ქ.ბათუმის მერის სახელზე შესაბამისი წერილის მომზადება ეთხოვა კახაბერ გუჩმანიძეს.

საკითხი 2. ქ. ბათუმის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის მიმდინა - რეობის განხილვა, სატარიფო და საჯარიმო პოლიტიკა. (ფორმატი - ქ.ბათუმის მერიის შპს ,, სანდასუფთავები ''- ს წარმომადგენლების მოსმენა / კითხვა - პასუხი)

შპს ,,სანდასუფთავების'' მხრიდან საბჭოს სხდომაზე ძირითად შეკითხვებზე პასუხის გასაცე- მად გამოვიდა დირექტორის მოადგილე - ნარგიზ ფალავანდიშვილი, რომელსაც სხდომის თავმჯდომარემ - მიაწოდა (ბეჭდური სახით) საბჭოს რიგი წევრების მიერ წინასწარ შემუშა - ვებული და წერილობით გადაგზავნილი შემდეგი კითხვები : -

1. რა ძირითად გამოწვევებს ხედავთ და რა პრობლემებს აწყდებით მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების მიმდინარეობი - სას ? რამდენად სრულდება გათვალისწინებული საკითხები მითითებულ ვადებში ? 2. რა ღონისძიებები იგეგმება 2019 წლის დასაწყისში ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწი- ნებული ნარჩენების მართვის სეპარირებული შეგროვების ეტაპობრივად დანერგვის კუთხით ? იგეგმება თუ არა ნარჩნების გადამტვირთი სადგურის მშენებლობა და რა იქნება მისი ეფექ - ტურობის ინდიკატორი ? 3. რამდენად სტანდარტებისა და ტექნიკური რეგლამენტის პირო - ბების დაცვით ხორციელდება ნარჩენების დეპონირება ? 4. რა ღონისძიებები გატარდა სახი - ფათო (გარდა სამედიცინო ნარჩენებისა) და სპეციფიკური ნარჩენების მართვისა და შემდგო - მი უტილიზაციის კუთხით ? 5. რა ღინისძიებები იქნა გატარებული ნარჩენების მორფოლოგი ური შემადგენლობის განსაზღვრის კუთხით ? იგეგმება თუ არა ქალაქის მასშტაბით ნარჩენე- ბის მონაცემთა ბაზის სინქრონიზაცია არსებული მონაცემების სრულყოფის კუთხითა და შესაბამისი კლასიფიკატორების (მუნიციპალური / სახიფათო / სპეციფიკური / ინერტული და სხვ.) მითითებით ? 6. რამდენად ეფექტურად ტარდება ღონისძიებები საჯარიმო - სასნქციო კუთხით წინა წლების მაჩვენებლის დინამიკის გათვალისწინებით ? 7. იგეგმება თუ არა დასუფთავების მოსაკრებლის ერთიან საბილინგო სისტემაში ინტეგრირების საკითხის განხილვა და რა გამოწვევებია ამ კუთხით ? იგეგმება თუ არა ნარჩენების (დასუფთავების) მოსაკრებლის გამოანგარიშების მოძველებული სისტემის გადახედვა ? 8. ხართ თუ არა ჩართული ,,მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების '' - როგორც

თანამედროვე სტანდარტის ქალაქში დანერგვის კუთხით დაგეგმილ ღონისძიებებში შესაბამის უწყებეთან ერთად ? გეგმავთ თუ არა ტრენინგების ორგანიზებას თანამშრომელთა ცნობიერების და პროფესიული ცოდნის ამაღლების მიზნით ?

ასევე სხდომის თავმჯდომარემ კახაბერ გუჩმანიძემ აღნიშნა, რომ განხილვისას თუ წამოიჭრე ბა საკითხის ირგვლივ კითხვები საბჭოს წევრები მიმართავენ მომხსენებელს.

ასევე ნარგიზ ფალავანდიშვილმა აღნიშნა, რომ კითხვა-პასუხის ფორმატში და მსჯელობის პროცესში აქტიურად ჩაერთვებოდნენ სამსახურის სხვა ხელმძღვანელი პირებიც.

გაიმართა განხილვა, კამათში და პოლემიკაში აქტიურად ჩაებნენ საბჭოს წევრები - კახაბერ გუჩმანიძემ , თამაზ თურმანიძემ და ზურაბ ჩიხლაძემ ისაუბრეს ნარჩენების მართვის კუთხით არსებულ საერთაშორისო პრაქტიკაზე, მოიყვანეს არაერთი მაგალითი.

მაყვალა კვირიკაძემ გამოთქვა საკუთარი შეხედულებები სასანქციო პოლიტიკასთან დაკავში- რებით და როგორც სამეწარმეო სფეროთი დაკავებულმა ადამიანმა აღნიშნა, რომ ამ კუთხით კანონმდებლობა დასახვეწია, რიგ შემთხვევაში კი ბიზნესი მსგავს ღონისძიებებს მოუმზადე - ბელი შეხვდა.

წარმოდგენილ შეკითხვებს კომპეტენტური და სრულად ამომწურავი პასუხები გასცეს - შპს ,,სანდასუფთავების'' ხელმძღვანელებმა, პოლემიკაში და მსჯელობის პროცესში აქტიურად ჩაერთვნენ - დავით დუმბაძე, გოჩა ვარშალომიძე და შოთა თოდაძე.

კახაბერ გუჩმანიძემ ისაუბრა სატარიფო პოლიტიკაზე და ერთიან საბილინგო სისტემაში მოსაკრებლის ინტეგრირებაზე - რაზედაც ამომწურავი პასუხი მიიღო - დავით დუმბაძისგან და პაატა ბერიძისგან, მათ განაცხადეს, რომ აღნიშნული საკითხი სამსახურის უმთავრესი გამოწვევაა და ამ კუთხით დაწყებული აქვთ მუშაობა.

პოლემიკაში აქტიურად ჩაებნენ სხდომაზე დამსწრე არასამთავრო სექტორის წარმამდგენლე - ბიც, მათ ასევე ისაუბრეს ნარჩენების გადამუშავების კუთხით არსებულ მდგომარეობაზე და დასვეს შეკითხვები დაგეგმილ ღონისძიებებზე. გულნაზ სურმანიძემ ისაუბრა ნარჩენების სეპარირებულად შეგროვების კუთხით საზღვარგარეთ არსებულ მდგომარეობაზე და აღნიშნა, რომ საქართველოში ის არსებულ რეალობას უნდა მოერგოს.

კახაბერ გუჩმანიძემ და ზურაბ ჩიხლაძემაც ყურადღება გაამახვილეს ნარჩენების სეპარირე - ბის კუთხით არსებულ მდგომარეობაზე, რაზედაც ნარგიზ ფალავანდიშვილმა განაცხადა, რომ აქვთ შემუშავებული შესაბამისი სამოქმედო გეგმა.

თამაზ თურმანიძემ ისაუბრა და დასვა კითხვები ნარჩენების გადამტვირთავი სადგურის მშენებლობის თაობაზე, აღნიშნულ საკითხზე მსჯელობაში აქტიურად ჩაებნენ - ზურაბ ჩიხლაძე და მაყვალა კვირიკაძე.

კახაბერ გუჩმანიძემ ისაუბრა მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების პრინციპებზე და შპს ,,სანდასუფთავების'' მესვეურებს მისცა რეკომენდაცია ამ კუთხით აქტიურად ეთანამ შრომლათ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან.

კახაბერ გუჩმანიძემ მიმართა შპს ,,სანდასუფთავების'' ხელმძღვანელობას და შეახსენა, რომ საბჭოს რამოდენიმე თვეა აქვს გადაგზავნილი წერილები ნარჩენების მართვის კუთხით კონკრეტულ აქტივობებზე, მათ შორის საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამ - შრომლობაზე რაზედაც დღემდე არ მიუღიათ პასუხი. კახაბერ გუჩმანიძემ სთხოვა ზემოაღ - ნიშნულის გათვალისწინება და საბჭოს ინიციატივების მოწონების შემთხვევაში შესაბამისი პოზიციის წარმოდგენა.

აღინიშნა დასუფთავების კუთხით ქალაქში აქტიური ღონისძიებების სიმრავლეც და სამსახუ
რის ოპერატიულობაც, ზურაბ ჩიხლაძემ განაცხადა, რომ მისი, როგორც ერთი რიგითი ბათუ-
მელის აზრით შპს ,,სანდასუფთავება'' ერთ-ერთი ყველაზე მობილური და გამართული
სამასახურია ქალაქში.

სხდომის თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა მადლობა გადაუხადეს შპს ,,სანდასუფთავე -
ბის'' ხელმძღვანელობას ამომწურავი პასუხებისთვის, აღინიშნა, რომ საკმაოდ ნაყოფიერი და
ვრცელი მსჯელობა გაიმართა, რამაც უკეთ დაანახა საბჭოს წევრებს სამსახურის წინაშე მდგა
რი გამოწვევები.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ერთობლივი თანამშრომლობა სასიკეთოდ წაადგება
ქალაქის საერთო საქმეს და შპს ,,სანდასუფთავების'' ხელმძღვანელობის მხრიდან გამოხატუ-
ლი ღიაობა და მონდომება უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანს სამსახურის წარმატებებს.

მსჯელობის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კახაბერ გუჩმანიძემ - მიმართა საჭოს დამსწრე
წევრებს კენჭი ეყარათ ქ.ბათუმის მერისთვის - დასუფთავების მოსაკრებლის ერთიან საბი -
ლინგო სისტემაში ინტეგრაციისა და ასევე ნარჩენების მორფოლოგიური შემადგენლობის
შესწავლის კუთხით - რეკომენდაციის მიცემის თაობაზე.

კახაბერ გუჩმანიძემ ასევე მისცა რეკომენდაცია სამსახურს მოახდინონ ნარჩენების მორფოლო
გიური შემადგენლობის დეტალური შესწავლა რათა ბიზნესის მხრიდან დაინტერესების
შემთხვევაში გაიოლდეს გადამუშავების (რეციკლილების) მიმართულებისა და პრიორიტეტე
ბის განსაზღვრა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა : საბჭოს დამსწრე წევრთა სრულმა შემადგენლობამ ერთხმად დაუჭი-
რა მხარი წარმოდგენილ საკითხებს.

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე შესაბამისი წერილების მომზადება და წარდგე
ნა ეთხოვა კახაბერ გუჩმანიძეს.

საკითხი 3. ქ. ბათუმის ლანდშაფტური დაგეგმარების კუთხით არსებული მდგომარეობისა
და მიმდინარე აგრო - ტექნიკური სამუშაოების განხილვა, სამომავლო გეგმები და გამოწვე -
ვები. (ფორმატი - ქ.ბათუმის მერიის ა(ა)იპ ,, ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური
დაგეგმა- რების სამსახური '' - ს წარმომადგენლების მოსმენა / კითხვა - პასუხი)

ა(ა)იპ ,, ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური '' - ს მხრიდან
საბჭოს სხდომაზე ძირითად შეკითხვებზე პასუხის გასაცემად გამოვიდნენ - დირექტორი
დავით დიასამიძე და სწავლული აგრონომი - ემზარ ნაგერვაძე. სხდომის თავმჯდომარემ
მათ მიაწოდა (ბეჭდური სახით) საბჭოს რიგი წევრების მიერ წინასწარ შემუშავებული და
წერილობით გადაგზავნილი შემდეგი კითხვები : -

1. რა პრინციპით ხორციელდება დასარგავი მცენარეული ასორტიმენტის შერჩევა ჰორიზონ-
ტალური (ხალიჩოვანი) გამწვანებისას ? რა ღონისძიებებს გეგმავთ ქალაქში ვერტიკალური
გამწვენების კუთხით და იგეგმება თუ არა მისი გაფართოება ? კლუმბების გამწვანებისას
გეგმავთ თუ არა რეზისტენტული მარადმწვანე ბუჩქოვნების გამოყენებას ერთწლოვანი ნარ-
გავების ნაცვლად ? იგეგმება თუ არა ძველი ბათუმისთვის მახასიათებელი ლანდშაფტური
დიზაინის აღდგენის კუთხით შესაბამისი რენდერების შემუშავება ? 2. რა აგროტექნიკური
ღონისძიებებია დაგეგმილი სამომავლოდ და გათვალისწინებუ ლია თუ არა ვარჯის
გასხვლა-ფორმირების სამუშაოების განხორციელება ქაფურის, ჭადრების, ევკალიპტის და

ვაშინგტონიების ხე-მცენარეებისთვის და რა ტექნიკურ პარამეტრებს ეყრდნობით გარდა ვიზუალური ფორმირებისა ? რა ბედი ელით დაფაუტებულ ევკალიპტებს და მოწმდება თუ არა მათი ტექნიკური მდგრადობა შემდგომი გართულებებისა და რისკების თავიდან აცილების მიზნით ? 3. ბაღებისა და პარკების გაშენებისას გათვალისწინებულია თუ არა აპრობირებული სტანდარტები ? ასორტიმენტის შერჩევისას გათვალისწინებულია თუ არა მცენარეთა რეზისტენტულობა / ფიტოსანიტარული და ენტომოლოგიური მდგომარეობა, ასევე დაკვირვებები. 4. რა ღონისძიებები იგეგმება ფიტოპატოლოგიური მდგომარეობის სალიკვიდაციოთ ? 5. რა ღონისძიებები იგეგმება (2011 წ. მერების შეთანხმების მიხედვით) მავნე სათბური აირების ემისიების შემცირების კუთხით / რა შემარბილებელ ღონისძიებათა გეგმა გაქვთ გაწერილი და განსაზღვრულია თუ არა მცენარეთა ჟანგბადაღმდგენი ფუნქციები და მოცულობები ? 6 .ლანდშაფტური დიზაინის ფორმირებისას რა პარამეტრებს ითვალისწინებთ გარემოსდამცავ-აღმდგენითს, ფერთა გამას, სეზუნურ მონაცვლეობითობას თუ სხვას ? 7. დათვლილია თუ არა სანერგე-საჩითილე მეურნეობის რენტაბელობა ? იყენებთ თუ არა ჰიდროპონიკას როგორც მეთოდსა და გზას სასათბურე მეურნეობაში ? 8. ნიადაგის გამდიდრების, ხარისხობრივი გაუმჯობესების რა ღონისძიებები გაქვთ დაგეგმილი გარდა მიმდინარესი (პერლიტი, ტორფი, ბაღის მიწა) და ხომ არ გეგმავთ პრემიუმ კლასის თანამედროვე ბიოლოგიურად აქტიური ნიადაგის ორგანული სასუქ-გამაფხვიერებელი პროდუქტების (ასევე სხვა) - კერმაზიტი, ბიოჰუმუსი, მინერალური ბამბის კუბები, ტორფის ხავსი და სხვა ნიადაგიში შეტანას მეტი ეფექტის მისაღებათ ? 9. დაანონსებული აქტივობა - პროექტი ,,მწვანე სივრცე ყველა ეზოში'' - პასუხობს თუ არა ქალაქის წინაშე მდგარ გამოწვევებს ? - იმის გათვალისწინებით, რომ ყოველ ეზოში ხე-მცენარეული ასორტიმენტის შერჩევისას და დარგვისას სავარაუდოთ არ მუშავდება შესაბამისი რენდერი, არ ხდება ნიადაგის შესწავლა და რთულდება რაოდენობრიობიდან გამომდინარე მათი შემდგომი მოვლა-პატრონობა, რამდენად რენტაბელური და ეფექტურია აღნიშნული პროექტი ? იგეგმება თუ არა ქალაქში არსებული მერქნული რესურსის ადგილმონაცვლეობა კონკრეტული ლანდშაფტური დიზაინის სრულყოფის ან ეფექტის მიღების მიზნით ?

სხდომის თავმჯდომარემ კახაბერ გუჩმანიძემ აღნიშნა, რომ განხილვისას თუ წამოიჭრება საკითხის ირგვლივ კითხვები საბჭოს წევრები მიმართავენ მომხსენებლებს.

ა(ა)იპ ,, ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური '' - ს წარმომადგენლების მხრიდან საბჭოს მიერ წერილობით წარდგენილ კითხვებს გაეცა კომპეტენტური და ამომწურავი პასუხები, რაზედაც სხდომის თავმჯდომარებ სამსახურის ხელმძღვანელობას მადლობა გადაუხადა.

ქალაქში არსებულ აგრო-ტექნიკურ საკითხებზე გაიმართა მსჯელობა და კამათი, საკუთარი აზრი გამოთქვეს საბჭოს წევრებმა - თამაზ თურმანიძემ და მაყვალა კვირიკაძემ, ქალაქის ლანდშფტური დაგეგმარებით არსებულ მდგომარეობაზე მსჯელობისას თავისი პოზიცია დააფიქსირა და შეკითხვები დასვა ზურაბ ჩიხლაძემ.

გაიმართა კამათი. კახაბერ გუჩმანიძემ აღნიშნა, რომ როგორც სამსახურის - ყოფილ დირექტორს გარკვეული გამოცდილება გააჩნია გამწვანებისა და ლანდშაფტის დიზაინის კუთხით და შეახსენა სამსახურის ხელმძღვანელობას, რომ საბჭოს მხრიდან კონკრეტული საინტერესო ინიციატივები იყო შეთავაზებული წერილობით, რაზედაც დღემდე კონკრეტული მოსაზრება სამსახურს არ დაუფიქსირებია. სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა - ა(ა)იპ ,, ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური '' - ს ხელმძღვანელობას ზემოაღნიშნულის გათვალისწინება და საბჭოს ინიციატივების მოწონების შემთხვევაში შესაბამისი პოზიციის წარმოდგენა.

მსჯელობისას გამოიკვეთა სამსახურის წინაშე მდგარი პრობლემები და გამოწვევები, რაც ძირითადად არსებული ინფრასტრუქტურის სათანადო გაუმართაობით იყო გამოწვეული და უკეთ მუშაობის მიზნით ასევე შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებას საჭიროებდა.

ა(ა)იპ ,, ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური '' - ს დირექტორმა დავით დიასამიძემ ვრცლად იასაუბრა ახალ ინიციატივაზე რაც ეზოების და სკვერების გამწვანებას ისახავდა მიზნად მთლიანი ქალაქის მასშტაბით, მან აღნიშნა, რომ 2019 წელს 3 500 ერთეული ხე-მცენარის დარგას გეგმავენ.

ზურაბ ჩიხლაძემ დასვა შეკითხვა სასათბურე მეურნეობაზე და სთხოვა უფრო დეტალური ინფორმაციის მოწოდება არსებული მდგომარეობის თაობაზე. ზურაბ ჩიხლაძე, ასევე შეეხო ქალაქში რიგი მოქალაქეების მხრიდან დაუდევრობით ან გულგრილობით ნარგავების დაზიანების ფაქტებს და აღნიშნა, რომ ამ კუთხით გასამკაცრებელია ღონისძიებები.

დავით დიასამიძემ - აღნიშნა, რომ მას სურს მაქსიმალურად დანერგოს საერთაშორისო სტანდარტები გამწვანებაში და ის რეგიონში სამაგალითო გახადოს, რისთვისაც სთხოვა საბჭოს თავიანთი კონტაქტების გამოყენებით უშუამდგომლონ საერთაშორისო დონორ და საქველმოქმედო ორგანიზაციებთან.

კახაბერ გუჩმანიძემ აღნიშნა, რომ აუცილებელია მოწინავე ევროპულ ქვეყნებში ლანდშაფტური დაგეგმარების კუთხით არსებული პრაქტიკების გაცნობა რათა უკეთ დაიგეგმოს ქალაქის გამწვანება, ასევე გადასახალისებელია ხე-მცენარეთა ასორტიმენტიც. მან ასევე ისაუბრა ინვენტარიზაციის დოკუმენტის მნიშვნელობაზეც.

მაყვალა კვირიკაძემ აღნიშნა, რომ დავით დიასამიძის ახალი ინიციატივის ფარლებში მიიღო მონაწილეობა ბათუმის გარეუბანში გამწვანების აქციაში და დასვა კითხვა - იგეგმება თუ არა ისევე აქტიურად გაგრძელდეს გამწვანების ღონისძიებები ბათუმის სხვა გარეუბნებსა და შემოერთებულ ტერიტორიებზე ? რაზედაც დავით დიასამიძისგან მიღო დადებითი პასუხი, მან აღნიშნა, რომ შესაძლებლის ფარგლებში ეტაპობრივად მოიცავენ ბათუმის მთლიან ტერიტო - რიას, რასაც რათაქმაუნდა გარკვეული პერიოდი დაჭირდება.

კახაბერ გუჩმანიძემ აღნიშნა, რომ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის არარსებობა უდაოდ შემაფერხებელი ფაქტორია ქალაქის განაშენიანების კუთხით, თუმცა ეს არ უნდა გახდეს კონკრეტული გამწვანების ღონისძიებების დაგეგმვის შეფერხების საფუძველი და შესთავაზა დავით დიასამიძეს ლანდშაფტური დაგეგმარების საქმეში აქტიური ჩართულობა, კერძოთ კახაბერ გუჩმანიძემ შესთავაზა საკუთარი რესურსის გამოყენებით დაგეგმარების პროცესში სთხოვოს დარგის გამოცდილ ექსპერტებს და მოიწვოს ისინი კონსულტაციების გაწევის მიზნით.

თამაზ თურმანიძემ აღნიშნა, რომ კახაბერ გუჩმანიძესთან ერთად შეუძლია მიმართოს საქველ მოქმედო ორგანიზაციას, რომელსაც აქვს რესურსი საკუთარი ძალებით მოახერხოს ბათუმში არსებული მცირე მონაკვეთის (100 მეტრი) კვარტლის გამწვანების უზრუნველყოფა და შესაბა მისი პროექტის დამუშავება, რაზედაც დავით დიასამიძემ გამოთქვა თანამშრომლობისთვის მზადყოფნა.

საბჭოს წევრებმა შესთავაზეს დავით დიასამიძეს გამწვანების აქციაში საბჭოს ჩართულობა.

კახაბერ გუჩმანიძემ რეკომენდაცია მისცა ა(ა)იპ ,, ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურ '' - ს ნიადაგის გამდიდრების პროეცსში, მისი მდგრადობის გასაძლი

ერებლად თანამედროვე სასუქების (კერამზიტი,ბიოჰუმუსი,ტორფის ხავსი, მინ.ბამბის კუბები) დანერგვის კუთხით.

ასევე კახაბერ გუჩმანიძე შეეხო შემოერთებულ ტერიტორიაზე ცენტრალური მაგისტრალის გასწვრის ევკალიპტების ტექნიკური მდგრადობის შესწავლის აუცილებლობას რისკების თავიდან აცილების მიზნით.

ჩატარდა ღია კენჭისყრა : საბჭოს დამსწრე წევრთა სრულმა შემადგენლობამ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ საკითხს.

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე შესაბამისი წერილების მომზადება და წარდგენა ეთხოვა კახაბერ გუჩმანიძეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ა(ა)იპ ,, ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური ”- ს დირექტორს დავით დიასამიძეს და ამავე სამსახურის აგრონომ ემზარ ნაგერვაძეს სხდომაზე მობრძანებისთვის და აღნიშნა, რომ მათი თანამშრომლობა აქტიურად აისახება შემდგომ ერთობლივ ღონისძიებებზე.

საბჭოს წევრებმა გამოთქვეს სურვილი, რომ საკითხის უკეთ გაცნობისა და შემდგომი რეკომენდაციების ჩამოყალიბების მიზნით უპრიანი იქნება თუ ადგილზე გაეცნობიან სამსახურის აგრო-ტექნიკურ ღონისძიებებს და ერთობლივად დასახავენ შემდგომი თანამშრომლობის გზებს.

კახაბერ გუჩმანიძემ მადლობა გადაუხადა დამსწრე ტელევიზიებს, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებსა და მერიის თანამშრომლებს, რის შემდგომაც სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

კახაბერ გუჩმანიძე

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი

მარიამ ბურკენაძე